საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№161/23

2022 წელი, 20 ივნისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 127-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ინიციატივით „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში” და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტების წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით საქართველოს მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფის (გიორგი ქარდავა, ზურაბ მახარაძე, ირაკლი მორგოშია, შოთა მარტინენკო, კონსტანტინე მორგოშია) განცხადება (1-7281/22; 13.06.2022) გადაეცეს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

2. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 5 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — შალვა პაპუაშვილი